საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

მოკლედ სამართალდარღვევათა კანონმდებლობაზე

დოკუმენტი მოამზადა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით (USAID), აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) მიერ მიმდინარე USAID-ის სამართლის უზენაესობის პროგრამის ფარგლებში. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და მასში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ ასახავდეს ზემოთ ნახსენები საერთაშორისო ორგანიზაციების შეხედულებას.

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE

EAST • WEST MANAGEMENT INSTITUTE

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამა
USAID RULE OF LAW PROGRAM

ავტორი და გამოცემის ხელმძღვანელი: ნონა ქურდოვანიძე

რედაქტორი: ხათუნა ყვირალაშვილი

ტექ. რედაქტორი: ირაკლი სვანიძე

ყდის დიზაინი: თეონა კერესელიძე

აიწყო და დაკაბადონდა
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში.
χ. კახიძის ქ.15 თბილისი 0102 საქართველო
(+995 32) 295 23 53, 293 61 01

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება
კომერციული მიზნით, ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე

© 2022, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

შესავალი

საქართველოში ისევ მოქმედებს საბჭოთა პერიოდში მიღებული, ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებთან შეუსაბამო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი. საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის 2022 წლის სამოქმედო გეგმა ერთ-ერთ პრიორიტეტულ საკითხად ამ კოდექსის რეფორმაზე მუშაობას ითვალისწინებს. გეგმის თანახმად, 2022 წელს მზად უნდა იყოს კანონპროექტის სამუშაო ვერსია, რომლითაც *,,სისტემურად* მოწესრიგდება კანონის არსებული დებულებები და შემუშავდება შესაბამისი სამართლებრივი ურთიერთობების მომწესრიგებელი მკაფიო ნორმები. ამასთანავე, ყოველივე ეს განხორციელდება ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით".[1] ბოლო 10 წლის განმავლობაში ეს სამართალდარღვევათა კოდექსის რეფორმაზე მუშაობის მესამე მცდელობაა.[2]

რეფორმის განუხორციელებელი მცდელობების პარალელურად, არსებული კანონმდებლობის მოქმედება ყოველდღიურად იწვევს ფუნდამენტური უფლებების დარღვევას:

- კოდექსი ცალკეული სამართალდარღვევის ჩადენისთვის ითვალისწინებს მძიმე სახდელებს, მათ შორის, ადმინისტრაციულ პატიმრობას, თუმცა აწესებს გაცილებით ნაკლებ პროცედურულ გარანტიებს სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში ბრალდებულ პირთან შედარებით;

[1] საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სამოქმედო გეგმა, 2022 წელი. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3cIqKnG, გადამოწმებულია: 31.07.2022.

[2] „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობა", საია, 2021. ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/files/news/%E1%83%A4%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%98/2021/GetFileAttachment-2.pdf, გადამოწმებულია: 01.08.2022.

- ბრალმდებლის მხარის არარსებობა სისხლისსამართლებრივი ბუნების სამართალდარღვევების განხილვისას ლახავს სასამართლოს მიუკერძოებლობის და დამოუკიდებლობის პრინციპს, რადგან, რეალურად, მოსამართლე ითავსებს ბრალმდებლის ფუნქციას;
- კოდექსი არ ითვალისწინებს უდანაშაულობის პრეზუმფციის მოთხოვნებს;
- არსებული კანონმდებლობა ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს ავალდებულებს, წარადგინოს მტკიცებულებები და დაამტკიცოს, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევა მას არ ჩაუდენია;
- სამართალდარღვევის საქმის განმხილველი მოსამართლე არ ამოწმებს დაკავების კანონიერებას. დაკავების კანონიერების თაობაზე დავის არსებული მექანიზმი არაეფექტიანი და კონსტიტუციასთან შეუსაბამოა;
- საქმის განმხილველი მოსამართლე არ ამოწმებს პოლიციელის მოთხოვნის კანონიერების საკითხს.

ადმინისტრაციული დაკავება

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი ითვალისწინებს ადმინისტრაციული დაკავების ინსტიტუტს, რომელიც რისკის ქვეშ აყენებს პირის თავისუფლებისა და უსაფრთხოების, ასევე სამართლიანი სასამართლოს უფლებების დაცვას. 2021 წლის ცვლილებებამდე დაკავების მაქსიმალურ ვადად 12 საათი იყო დადგენილი, თუმცა, თუ პირის დაკავება არასამუშაო ვადას ემთხვეოდა, შეიძლებოდა, ის 48 საათი გაგრძელებულიყო. საქართველოს პარლამენტმა, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების მოტივით, 2021 წლის გაზაფხულზე გაამკაცრა დაკავების რეგულაცია და მისი ვადა 12 საათიდან, ყველა შემთხვევაში, 24 საათამდე გა-

იზარდა, რომელიც კიდევ 24 საათით შეიძლება გაგრძელდეს (ჯამში 48 საათი).

ამ ცვლილებების შემდეგ პოლიცია, როგორც წესი, შაბლონური დასაბუთებით აგრძელებს დაკავების ვადას 48 საათამდე. მაგალითად, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმოებაში არსებულ ერთ-ერთ საქმეზე ადმინისტრაციული დაკავების ვადა შსს-მ 48 საათამდე გააგრძელა იმ საფუძვლით, რომ დამატებითი მტკიცებულებები მოეპოვებინა. თუმცა, ამ ვადის გასვლის შემდგომ მას სასამართლოსთვის ასეთი მტკიცებულებები არ წარუდგენია. კიდევ ერთ საქმეზე პოლიციამ ადმინისტრაციული დაკავების ვადა 48 საათამდე გააგრძელა იმ საფუძვლით, რომ შსს-ს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტიდან „მოსასვლელი“ იყო ნასამართლობისა და ადმინისტრაციული სახდელის გამოყენების შესახებ ცნობა.

პრობლემას ამძაფრებს ისიც, რომ არსებული კანონმდებლობა არ ითვალისწინებს დაკავების კანონიერების შემოწმების ქმედით მექანიზმს. პოლიციელის წერილობითი გადაწყვეტილება ადმინისტრაციული დაკავების შესახებ არ ექვემდებარება სამართალდარღვევის განმხილველი მოსამართლის ზედამხედველობას. ასეთ პირობებში ვერ ხერხდება დაკავების კანონიერების ეფექტიანი შემოწმება, შესაბამისად, დაცული არ არის კონსტიტუციისა და ევროპული კონვენციის მოთხოვნები - სასამართლომ სწრაფად შეისწავლოს პირის დაკავების კანონიერება.[3]

[3] იხ. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის საკონსტიტუციო სარჩელი საქმეზე „დავით ნებიერიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

სტატისტიკური მონაცემები

ყოველწლიურად მაღალი რჩება ადმინისტრაციული დაკავებისა და პატიმრობის გამოყენების მაჩვენებელი. მიუხედავად იმისა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო ამ შემთხვევების დეტალურ აღრიცხვას არ აწარმოების, იზოლატორში მოთავსებული პირების სტატისტიკაზე დაყრდნობით, შესაძლებელია იმის იდენტიფიცირება, მინიმუმ რამდენი ადამიანი დააკავეს. აღსანიშნავია, რომ იზოლატორში ადმინისტრაციული წესით მოთავსებული პირების დიდ უმრავლესობას პოლიცია წვრილმან ხულიგნობასა ან/და პოლიციის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობას ედავებოდა.

დანართი 1.



დანართი 2.


იზოლატორში ადმინისტრაციული წესით მოთავსებული პირების რაოდენობა წლების მიხედვით
2022 (იანვარი - ივნისი)
2382
2866
2021
4197
4293
2020
4107
4163
2019
5526
5596
166 ან/და 173 მუხლის საფუძველზე
სულ